პატივცემულო კოლეგებო, პატივცემულო სტუმრებო!
ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ, პირველ რიგში, მივესალმოთ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ჯინჭარაძეს, მივესალმებით მთავრობის წევრებს და უმაღლესი საბჭოს საშემოდგომო სასესიო პერიოდის გახსნაზე მობრძანებულ სხვა სტუმრებს.

დასრულდა კიდევ ერთი საკმაოდ დაძაბული სასესიო პერიოდი. დროის ამ მონაკვეთში ანუ ამა წლის თებერვლიდან დღემდე ჩვენი საქმიანობა საკმაოდ ინტენსიური და წარმატებულიც იყო, რადგანაც იგი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ქვეყნაში მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების პირობებში. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით საერთაშორისო ფონზე, რომელიც არანაკლებ გავლენას ახდენს უმაღლესი საბჭოს მუშაობაზე, ამ მუშაობის შედეგებზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები კი შეიცავენ სერიოზულ საფრთხეს საერთაშორისო და რეგიონალური მშვიდობისთვის, უშუალოდ ჩვენი ქვეყნისთვის. ასეთი მოვლენების რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, საომარი მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში, დღეისათვის გაყინული, მაგრამ ფეთქებადსაშიში ირანის კრიზისი. არ შეიძლება არ მივესალმოთ ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური ჩართულობით ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყნების - აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ კონფლიქტის დასრულებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა ჯერ კიდევ წინ არის ორ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა. ვიმედოვნებთ, ამის შემდეგ სამხრეთ კავკასიის დიდ ნაწილში საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაფუძნებული მშვიდობა დაისადგურებს.

ოთხ-ხუთი წლის განმავლობაში კონფლიქტებისა და ომების რკალში მოქცეულმა საქართველომ, შიგნიდან და გარედან ზეწოლების მიუხედავად, არა მარტო მოახერხა მშვიდობის შენარჩუნება, არამედ უზრუნველყო ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებაც. ეს ყოველივე გახლავთ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება, მოცემულ ეტაპზე იმ უალტერნატივო პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არაერთხელ დაუჭირა მხარი და მომავალშიც, დარწმუნებული ვართ, იგივეს გააკეთებს.

სამწუხაროდ, ევროპაში, რომლის ნაწილი ოდითგანვე ვიყავით, დღესაც ვართ და მუდამ ვიქნებით, გრძელდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მასშტაბური, ყველაზე ხანგრძლივი, ყველაზე სისხლისმღვრელი და ყოვლად გაუმართლებელი, უსამართლო სამხედრო კონფლიქტი. მეოთხე წელიწადია, რაც უკრაინის მიწაზე არნახული ტრაგედია ტრიალებს. მსოფლიოს თვალწინ ნადგურდება ევროპის უდიდესი, ეკონომიკურად მძლავრი ქვეყანა, სადაც დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე, მაღალინტელექტუალური, მხედრული სიმამაცით გამორჩეული, შრომისმოყვარე

და ყველანაირი ღირსებით შემკობილი ხალხი ცხოვრობს. მთელი ქვეყანა ბრძოლის ველად არის გადაქცეული; ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იღუპება ბავშვების, ქალებისა და ხანდაზმული ადამიანების ანუ მშვიდობიანი მოქალაქეების ჩათვლით.

სხვათა შორის, ეს ბრძოლის ველი, ნანგრევევად ქცეული უკრაინული ქალაქები და სოფლები, თუ ასე შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ ერთგვარ სარკეს, რომელზეც მკაფიოდ არის ასახული როგორც აგრესორის არაადამიანური სახე, როგორც უკრაინელთა თავგანწირვა და სიმამაცე, ისე მთელი საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები. იმ სარკეში გამოკვეთილად ჩანან უკრაინელთა მოკავშირე ცივილიზებული ქვეყნები, რომლებსაც მათ მიერ დაკლარირებული დემოკრატიული ფასეულობებისთვის, მათივე უსაფრთხოებისთვის თავგანწირვით მებრძოლი უკრაინისთვის დროული და სათანადო სამხედრო დახმარების გაწევის არც გამბედაობა ეყოთ და არც შესაბამისი პოლიტიკური ნება აღმოაჩნდათ, თუმცა რესურსები საკმარისად აქვთ. კიდევ უფრო დასანანია ის ფაქტი, რომ ხსენებული ქვეყნები ევროპაში სამართლიანი მშვიდობის დამყარების უნარს და სურვილსაც არ თუ ვერ ავლენენ. იმავე სარკეში გარკვევით ვხედავთ სახელმწიფოთა საკმაოდ დიდ ჯგუფს დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ სამხრეთიდან, რომლებიც სოლიდურ სარგებელს იღებენ უკრაინის ტრაგედიიდან; შესაბამისად, დაინტერესებული არიან ომის გაგრძელებაში, დაპირისპირებულ მხარეთა დასუსტებაში, რამაც კიდევ დამატებითი სარგებელი უნდა მოუტანოს მათ მომავალში. ყურადღებით ვიხედებით რა იმ სარკეში, ვერსად ვპოულობთ საერთაშორისო სამართალს თავისი ფუძემდებლური პრინციპებით; საერთოდ არ ჩანს წესებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი, ელემენტარულ სამართლიანობაც კი; რაც შეეხება ზნეობას და მორალს, აღნიშნულ სარკეზე მსგავსი ცნებები და მით უმეტეს მათზე დამყარებული ქმედებები საერთოდ არ აისახება, არ აირეკლება. სამაგიეროდ წინა პლანზე წამოწეულია მკაცრი პრაგმატიზმი, ცალკეული ქვეყნების, განსაკუთრებით წამყვანი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები და მხოლოდ ეროვნული ინტერესები.

ის სასწაულმოქმედი სარკე, ზოგადად, უკრაინის სისხლიანი გაკვეთილი მსოფლიოს ხვალინდელ დღეზე, მომავალ მსოფლიო წესრიგზე, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს ადგილზე დაფიქრებულ ადამიანებს მრავალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს; მაგრამ, მოდით, ეს საქმე სხვა, უფრო კომპეტენტურ და საამისოდ უფლებამოსილ სპეციალისტებს მივანდოთ. ჩვენ კი ამ კონტექსტში ყურადღებას მხოლოდ ერთ, მაგრამ ყველაზე მთავარ დასკვნაზე გავამახვილებთ. ქართულმა საზოგადოებამ, მისმა პოლიტიკურმა სპექტრმა, ჩვენი აზრით, დღემდე სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ისტორიაში სამი ყველაზე დამანგრეველი მოვლენიდან - 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან, აფხაზეთის 1992-1993 წლების ტრაგედიიდან და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან. ალბათ, დადგა დრო როგორც აღნიშნული დამანგრეველი მოვლენების, ისე უკრაინის მწარე და

სისხლიანი გაკვეთილის გათვალისწინებით, დღეს მაინც ყველამ ერთად გამოვიტანოთ მრავალთაგან ის ერთი ყველაზე მთავარი დასკვნა. მით უმეტეს, იგი მარტივზე მარტივია და ზედაპირზე დევს - ეს არის საკუთარი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვა, ამ ინტერესების გარშემო მთელი ერის კონსოლიდაცია. რა არის ან რა უნდა იყოს თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესი? ჩვენი ეროვნული ინტერესი არის მყარი მშვიდობა და მაქსიმალურად სწრაფი ეკონომიკური განვითარება. ეს და მხოლოდ ეს გახლავთ უმთავრესი მიზნისკენ - მშვიდობიანი მეთოდებით ქვეყნის გამთლიანებისკენ მიმავალი უმოკლესი და უსაფრთხო გზა. ამ გზაზე მყარად დგას საქართველოს მთავრობა. რა თქმა უნდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოც და მთავრობაც გააგრძელებენ ამ ერთადერთი სწორი გზით სიარულს.

როგორც ნებისმიერი წარმომადგენლობითი ორგანო, ისე უმაღლესი საბჭოც თავისი შემადგენლობით არ არის ერთგვაროვანი, ანუ არ არის ერთპარტიული. უფრო მეტიც, ამის თაობაზე ადრეც არაერთხელ გვითქვამს, უმაღლესი საბჭო შესდგება დეპუტატებისაგან, რომლებიც არც თუ ისე შორეულ წარსულში, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება მძვინვარებდა, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგნენ. ასეთი წარსულის მიუხედავად, სრული ერთობა გვაქვს უმთავრეს ზეპარტიულ საკითხში, რომელსაც ქვეყნის გამთლიანება ჰქვია. ქვეყნის გამთლიანება კი, მოგეხსენებათ, იყო და არის ჩვენზე დაკისრებული ისტორიული მისია. სწორედ ამ მისიასთან დაკავშირებული მაღალი პასუხისმგებლობის ბოლომდე გაცნობირება პატივცემული კოლეგების აბსოლუტური უმრავლესობის მხრიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფდა და უზრუნველყოფს უმაღლეს საბჭოში სათანადო სამუშაო გარემოს შექმნას და შეთანხმებულ საქმიანობას, პრეზიდიუმისა და პლენარული სხდომების რეგულარულად და საქმიან ვითარებაში წარმართვას, სამართლებრივი, პოლიტიკური, ორგანიზაციული ხასიათის გადაწყვეტილებების ძალიან ხშირად ერთხმადაც მიღებას, სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, მთელი რიგი პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო, ჰუმანიტარული და სხვა ღონისძიებების ჩატარებას.

განვლილი სასესიო პერიოდის განმავლობაში გაიმართა 23 პლენარული სხდომა, რომელზეც განხილულია 62 საკითხი, პრეზიდიუმის 34 სხდომაზე კი - 77 საკითხი. სათანადო პროცედურების დაცვით, მიღებულია 9 კანონი აფხაზეთის სხვადასხვა კანონებში ცვლილების თაობაზე, ასევე 7 დადგენილება. ცვლილებები განხორციელდა აფხაზეთის ა/რ კონსტიტუციაში, ორჯერ - კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“, სამჯერ - მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ და ორჯერ - 2025 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმზე და პლენარულ სხდომებზე განხილულ საკითხებს შორისაა ხუთივე კომიტეტის თავმჯდომარეთა ანგარიშები, მთავრობის თავმჯდომარის წლიური ანგარიში სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მთავრობის ოთხი წევრის - მინისტრების ინტერპელაციის წესით მოსმენა, ახალი მთავრობის

დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენები შესაბამისი დადგენილების მიღებით, დეპუტატების ანგარიშები საზღვარგარეთ თუ ქვეყნის შიგნით მივლინებების თაობაზე, „ა(ა)იპ სოციალური სოლიდარობისათვის“ წლიური ანგარიში; მოსმენილია ინფორმაციები და გაკეთებულია განცხადებები მთელ რიგ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამართლებრივ და სხვა მიმდინარე საკითხებზე.

მოკლედ შევეხებით მთავარი მუშა ორგანოების - კომიტეტების საქმიანობას. მოგეხსენებათ, არც ერთი კანონი, არც ერთი დადგენილება უმაღლეს საბჭოში არ მიიღება კომიტეტების მიერ მათი განხილვისა და შესაბამისი დასკვნების პრეზიდიუმში წარმოდგენის გარეშე. ამასთანავე ყველა კომიტეტს თავისი კონკრეტული ფუნქცია გააჩნია, რაზეც უშუალოდ ის არის პასუხისმგებელი. ვინაიდან უმაღლესი საბჭო წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის გამართულ მუშაობას. საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში კომიტეტმა, რომელსაც ბ-ნი ვახტანგ ყოლბაია ხელმძღვანელობს და რომელსაც დაბადების დღეს ვულოცავთ საუკეთესო სურვილებით, ჩაატარა 14 სხდომა, სათანადო რეაგირება მოახდინა 296 შემოსულ წერილზე; კომიტეტიდან გავიდა 136 შეტყობინება. კანონშემოქმედებითი კუთხით იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, მის აპარატს თავმჯდომარის კაბინეტთან ერთად ჩატარებული აქვთ საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა. კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს უმაღლესი საბჭოს მიერ ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში - 2024 წლის 28 ივნისს - შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივის - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა შესახებ“ კანონში ცვლილების შესახებ პარლამენტში ღირსეულად წარდგენა და მიმდინარე წლის 1 აპრილს მესამე მოსმენით მისი მიღება ანუ კანონად ქცევა. შეგახსენებთ, რომ ცვლილება შევიდა კანონის 23-ე პრიმა მუხლში (გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის განსაკუთრებული პირობა). აღნიშნულ მუხლს დაემატა მე-4 პუნქტი, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გრძელვადიანი საცხოვრებლით დევნილი მოსახლეობის უზრუნველყოფის პირობებს.

აფხაზეთის მეომართა კავშირის წარმომადგენლებთან კომიტეტის თავმჯდომარისა და სპეციალისტების შეხვედრებზე დასმული საკითხების გათვალისწინებით, ფაქტობრივად მომზადებულია საქართველოს პარლამენტში წარსადგენი კიდევ ორი კანონპროექტი - ცვლილებები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ და ასევე კანონში „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“. საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილება თვალისწინებს 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის ამოღებას და იქვე „ა პრიმა“ და „დ“ ქვეპუნქტების დამატებას. ცვლილების ამ პროექტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით არ უნდა დაიბეგროს ომის ვეტერანის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული

დასაბეგრი შემოსავალი 9 ათას ლარამდე, შეზღუდული შესაძლებლობის ომის ვეტერანის - 12 ათას ლარამდე, ნაცვლად 3 ათასი ლარისა, მოქმედი კანონის მიხედვით.

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული მეორე კანონპროექტი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ითვალისწინებს საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის ომის ვეტერანისთვის სახელმწიფო კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლების შენარჩუნებას. ამასთან დაკავშირებით სათანადო ცვლილება უნდა შევიდეს მოქმედი კანონის მე-6 და მე-7 მუხლებში.

იმისათვის, რომ აღნიშნული კანონპროექტები, სათანადო პროცედურების გავლით უმაღლესმა საბჭომ პარლამენტში წარადგინოს, აუცილებელია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმება ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, რითაც ამჟამად კომიტეტი არის დაკავებული. გარდა ამისა, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი აგრძელებს მუშაობას კანონქვემდებარე აქტში - დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში ისეთი ცვლილების შეტანაზე, რომლითაც დადგინდება კონკრეტული ვადები, რა ვადებშიც დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს შესაბამისმა კომისიამ უნდა განახორციელოს დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ცალკეული ღონისძიებები. ასეთი ვადების დადგენა ნამდვილად შეუწყობს ხელს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის არც თუ ისე მარტივი პროცესის გაუმჯობესებას; ეს პროცესი გახდება უფრო სამართლიანი. კომიტეტი მუშაობს აგრეთვე კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე - დევნილების სამუშაო სტაჟის დადგენის პროცედურების გამარტივებაზე. როგორც მოგეხსენებათ, ეს საკითხი არ რეგულირდება რომელიმე კანონით ან კანონქვემდებარე აქტით, ამიტომ დევნილი იძულებულია მიმართოს სასამართლოს. კომიტეტს სამართლიანად მიაჩნია, რომ აფხაზეთში 1993 წლამდე მომუშავე პირების სამუშაო სტაჟის დადგენა უნდა მოხდეს აფხაზეთის მთავრობის დადგენილების საფუძველზე. არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, ცვლილების შეტანა კანონში „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“. ამჟამად კომიტეტი ელოდება რეკომენდაციას პარლამენტიდან. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს საკითხი აფხაზეთის მთავრობასთან თანამშრომლობით უახლოეს ხანებში მოგვარდება.

უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა. აღნიშნულ ფუნქციას ის ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტის მეშვეობით, რომელსაც ქ-ნი ადა მარშანია ხელმძღვანელობს. საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში კომიტეტს ჩატარებული აქვს 16 სხდომა, განხილული აქვს მოქალაქეებისგან შემოსული 123 წერილი. მათ შორის არც ერთი მომართვა სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. კომიტეტი, მისი თავმჯდომარე საკმაოდ აქტიურად

ურთიერთობენ დევნილ მოსახლეობასთან, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებთან ეთნიკური აფხაზების ჩათვლით; მჭიდრო კონტაქტები აქვს შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებთან და განსაკუთრებით იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვითა და კონფლიქტის დარეგულირებით არიან დაკავებულები.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, 24 საათიან რეჟიმში უწევს მუშაობა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეობას ითავსებს უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერი ბ-ნი რუდიკ ცატავა. კომიტეტის დასახელებიდან უკვე ჩანს, რომ ის, თუ ასე შეიძლება ითქვას, გადატვირთულია ფუნქციებით. თანაც კომიტეტის კომპეტენციაში შედის ისეთი საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს დევნილ მოსახლეობას, უშუალოდ ეხება მდინარე ენგურის ორივე მხარეს მცხოვრებ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს. კომიტეტში მაღალ დონეზეა დაყენებული ორგანიზაციული საქმიანობა. ჩატარებული აქვს 12 სხდომა, 30-მდე სამუშაო შეხვედრა სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. აღნიშნული კომიტეტის წარმატებულ საქმიანობას განაპირობებს სწორედ მისი ყოველდღიური მჭიდრო კავშირი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. სამი ათეული წლის წინ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, დევნილები სოციალურ-ეკონომიკურ თუ ჯანდაცვის საკითხებზეც ძალიან ხშირად უმაღლეს საბჭოს მიმართავენ. ამიტომაც კომიტეტს უწევს არა მხოლოდ ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისი სამინისტროს საქმიანობაზე, რაც არის ჩვენი კონსტიტუციური მოვალეობა, არამედ მრავალრიცხოვანი შუამდგომლობების, ასევე საკუთარი ინიციატივებისა და რეკომენდაციების წარდგენა ამა თუ იმ სამთავრობო დაწესებულებაში, უშუალოდ ჩართვა ცალკეულ დევნილ თანამოქალაქეთა კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში. როგორც გალის რაიონის ყოფილი გამგებელი და იქაური მოსახლეობისთვის კარგად ცნობილი პიროვნება, ბატონი რუდიკი ხშირად იღებს რაიონის მოსახლეობისგან მომართვებს, მათ შორის კოლექტიურს, მათთვის უაღრესად საჭირბოროტო საკითხებზე, თუმცა ასეთი მომართვები კომიტეტს აფხაზეთის სხვა რეგიონებიდანაც არ აკლია. მარტო საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში კომიტეტს 140-მდე შუამდგომლობა აქვს წარდგენილი მთავრობაში. მინდა მადლიერებით და სიამოვნებით აღვნიშნო, რომ აფხაზეთის მთავრობა, სადაც დევნილებისგან ბევრად უფრო მეტი განცხადება და თხოვნა შემოდის, ვიდრე ჩვენთან, ყურადღების გარეშე არ ტოვებს და, როგორც წესი, ახერხებს კომიტეტიდან მიღებული შუამდგომლობების ძირითადად დაკმაყოფილებას, შესაბამისად, სიდუხჭირეში მყოფი ჩვენი თანამოქალაქეების მდგომარეობის შემსუბუქებას. ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, მთავრობასა და უმაღლესი საბჭოს შეთანხმებული მუშაობა არის საერთო წარმატების საწინდარი. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტი.

ერთ-ერთი წამყვანი და ფუნქციურად დატვირთული კომიტეტი გახლავთ საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტი. მის სათავეში დგას თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი დამფუძნებელი და იმავდროულად კულტურის სფეროს საქვეყნოდ ცნობილი მოღვაწე ბ-ნი ნუგზარ მგალობლიშვილი. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში კომიტეტმა 18 სხდომა ჩაატარა, სათანადო რეაგირება მოახდინა 84 მომართვაზე. კომიტეტის სხდომებზე რეგულარულად იხილებოდა განათლებისა და კულტურის სამინისტროს, მასთან არსებული სსიპ-ების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი საბჭოს საგარეო კავშირების კოორდინატორი ბ-ნი ზურაბ ჯგუბურია მიმდინარე წლის მარტში სპეციალური მიწვევით იმყოფებოდა პარიზში, ლევილში, სადაც პატივი მიაგო გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების, აფხაზეთის სახელოვანი შვილების აკაკი ჩხენკელისა და არზაყან ემუხვარის საფლავებს; აკაკი ჩხენკელის საფლავზე, რომლის 150 წლის იუბილე საკმაოდ ფართოდ აღინიშნა ქვეყანაშიც და ჩვენთანაც, განთავსდა მემორიალური დაფა ქართულ და ფრანგულ ენებზე შესრულებული წარწერით - „ქართველი ვარ სოხუმიდან“. ეს სიტყვები თავის დროზე ოქუმელმა აკაკი ჩხენკელმა რუსეთის დუმაში წარმოთქვა. ბატონი ზურაბი ასევე შეხვდა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მედალი გადასცა აკაკი ჩხენკელის შვილიშვილს თამარ ჩხენკელს. უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნ ზურაბ ჯგუბურიას ეს ოფიციალური, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებული ვიზიტი საზღვარგარეთ, ისევე როგორც ადრე განხორციელებული მსგავსი ვიზიტები, იყო საქმიანი, კონკრეტული საკითხის მოგვარებაზე ან შესწავლაზე ორიენტირებული.

საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტი სამართლიანად მიიჩნევს, რომ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების სფეროში არსებული კატასტროფული მდგომარეობა; მისი ნაწილობრივ გამოსწორება, როგორც ამას სხვადასხვა საპილოტე პროექტები გვიჩვენებენ, სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები, მიზეზთა გამო, არ იდგმებოდა. საბედნიეროდ, ვითარება იცვლება. რამდენიმე დღის წინ - 5 სექტემბერს მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ გიორგი ჯინჭარაძის დავალებითა და მინისტრის - ბ-ნ ბექა ღვაჩლიანის ძალისხმევით აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში გაიმართა ამ საკითხისადმი მიძღვნილი მაღალი დონის შეხვედრა - მუშა თათბირი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის ქ-ნ თამარ მახარაშვილის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ქ-ნ ლია გიგაურის, ასევე საქართველოს პარლამენტისა და სხვა უწყებების წარმომადგენლთა მონაწილეობით. ქ-ნ ნანა კვარაცხელიასთან ერთად ჩვენც გვხდა მასში მონაწილეობის პატივი. ბოლო წლების განმავლობაში არაერთ მსგავს შეხვედრაში მიგვიღია მონაწილეობა, მაგრამ ის, რაც 5

სექტემბერს ვიხილეთ, იყო სრულიად განსხვავებული - განსხვავებული, პირველ რიგში, აზრთა სრული ერთიანობით და არა ზოგად, არამედ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობით. ანუ წარსულს ჩაბარდა უსაგნო დისკუსიები პროექტის მიზანშეწონილობა - მიზანშეუწონლობის, რაღაც საფრთხეების და სხვა მოგონილ თემებზე. მუშა თათბირის ორ მონაწილეს - უმაღლეს საბჭოდან ქ-ნ ნანა კვარაცხელიას და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნილი ცენტრის არაფორმალური განათლების პროგრამის ხელმძღვანელს ანი კუდახაშვილს პირდაპირ დაევალათ პროექტის განხორციელების კონკრეტული გეგმის სექტემბის ბოლომდე მომზადება.

თათბირზე ქალბატონმა თამარ მახარაშვილმა დასვა უაღრესად საინტერესო საკითხი. მისი წინადადებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების სფერო მთლიანად, პედაგოგების ფინანსური დახმარების, დისტანციური სწავლების ორგანიზების ჩათვლით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს გამგებლობაში უნდა გადავიდეს, რასაც ყველამ მხარი დავუჭირეთ. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ასეთი მოსაზრება და წინადადება აქვს ბ-ნ გიორგი ჯინჭარაძესაც. აღნიშნული წინადადება თუ განხორციელდა, აფხაზეთის ა/რ მთავრობა, განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ეჭვიც არ გვეპარება, ამ ახალ გამოწვევას წარმატებით გაუმკლავდებიან. უმაღლესი საბჭო, საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტი, რა თქმა უნდა, იქნებიან სამინისტროს, მთლიანად მთავრობის გვერდით ამ მამულიშვილური საქმიანობის წარმართვაში.

ყურადღებას იმსახურებს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის წინადადება აფხაზეთის ისტორიის ფაკულტატივის წესით სწავლების შემოღების შესახებ ჯერ აფხაზეთის საჯარო სკოლებში, შემდეგ ეტაპზე - საქართველოს ყველა სკოლაშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ წერილიც შემოვიდა ფოთიდან, რომელიც ვალდებული ვართ განვიხილოთ ჩვენს მთავრობასთან, პირველ რიგში, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან ერთად.

პატივცემულო კოლეგებო და სტუმრებო, ყველაზე კარგად თქვენ უწყით, რა მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტს - სახელმწიფო პოლიტიკის გამოხატულებას ფინანსებსა და კონკრეტულ ციფრებში, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით მის სწორად ფორმირებას, შემდგომში კი ეფექტიანად განკარგვას. მთავრობის საქმიანობაზე უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო ფუნქციიდან გამომდინარე, კომიტეტებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, რომელსაც პირველი ვიცე-სპიკერი ბ-ნი თამაზ ხუბუა ხელმძღვანელობს. განვლილ სასესიო პერიოდში კომიტეტმა 12 სხდომა ჩაატარა, განიხილა 20 საკითხი; მოაწყო 6 საქმიანი შეხვედრა - მუშა თათბირები; კომიტეტიდან გავიდა 60-ზე მეტი ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის ახსნა-განმარტებები სხვადასხვა საკითხებზე. არ შემიძლია ხაზი არ გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბოლო პერიოდში კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დასკვნები და მოხსენებები გამოირჩევიან

მაღალი პროფესიონალიზმით, პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომით. საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტმა მიმდინარე წლის განმავლობაში მოახდინა ისეთი თემების აქტუალიზება, როგორიცაა რესპუბლიკური ბიუჯეტის მართვის ეფექტიანების ამაღლება, მუშაობაში მენეჯმენტური ინოვაციების დანერგვის აუცილებლობა. კომიტეტს სამართლიანად მიაჩნია, რომ კვლავინდებურად დაბალია რესპუბლიკური ბიუჯეტის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გამოყოფილი ასიგნებების ხვედრითი წილი, მაშინ როდესაც მთლიანი ხარჯების ნახევარზე მეტი „შრომის ანაზღაურებაზე“, ასევე „საქონელი და მომსახურებაზე“ მოდის. არის სხვა საკითხებიც, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, კომიტეტისა და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლობის გზით აუცილებლად მოგვარდება. ამის საწინდარია მათ შორის უკვე დამყარებული საქმიანი ურთიერთობები.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარების მუდმივი მონიტორინგი, იქ მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ანალიზი, მათი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება იყო და რჩება ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. ამ საკითხზე ტარდება ბრიფინგები, კეთდება ოფიციალური განცხადებები სათანადო შეფასებებით; უმაღლესი საბჭო განვლილ სასესიო პერიოდშიც აგრძელებდა დადგენილებების მიღებას განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით. მაგალითად, ამა წლის 5 მარტს სპეციალური დადგენილებით, პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარებულ ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებს.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებას რეგულარულად აშუქებს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტი, რომელიც ამ საკითხზე თითქმის ყოველდღე ამზადებს და აქვეყნებს საინფორმაციო ხასიათის დაიჯესტებს. მათ სულ უფრო მეტად ეტყობათ პროფესიონალების ხელი, რაც მისასალმებელია. საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში აფხაზეთის პრობლემატიკაზე 137 საინფორმაციო დაიჯესტი იყო მომზადებული და უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე განთავსებული. იმავე დეპარტამენტში მზადდებოდა არა მხოლოდ დაიჯესტები, არამედ საკმაოდ მაღალ პროფესიონალურ დონეზე შესრულებული ანალიტიკური წერილები აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პროცესების შესახებ. ბ-ნი გიორგი ალფენიძე, რომელიც გახლავთ მათი ავტორი, ამა წლის 1 სექტემბრიდან იგივე საქმიანობას უკვე თავმჯდომარის კაბინეტში აგრძელებს. სანამ მოკლედ მიმოვიხილავთ აფხაზეთში არსებულ ვითარებას, მინდა აღვნიშნო, რომ 2025 წლის იანვრიდან დღემდე მომზადებული 24 ანალიტიკური წერილი, ასევე ის, რაც კიდევ წლის ბოლომდე დაიდება, აუცილებლად უნდა გამოიცეს ბეჭდური სახითაც ანუ ცალკე წიგნად. რა თქმა უნდა, მომდევნო წლებშიც იგივე გაკეთდება. მოგეხსენებათ, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები აფხაზეთთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულია, მაგრამ მის ცალკეულ ასპექტებს, რაღაც დეტალებს მუდმივი კორექტირება, განახლება, რეალურ მდგომარეობასთან

შესაბამისობაში მოყვანა სჭირდება. სწორედ ამისთვის არის საჭირო და აუცილებელი ზემოაღნიშნული ანალიტიკური წერილები.

საგაზაფხულო სასესიო პერიოდის საწყის ეტაპზე აფხაზეთში აქტუალური გახლდათ ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნების თემა. როგორც გვახსოვს, რუსეთის ფედერაციის მიერ ინიცირებულ „აპარტამენტების კანონს“ და „ინვესტიციების შესახებ ხელშეკრულების“ პროექტს 2024 წლის შემოდგომაზე მწვავე პოლიტიკური კრიზისი, დე-ფაქტო პრეზიდენტის იძულებითი გადადგომა და 2025 წლის 1 მარტისთვის ე.წ. ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოჰყვა. რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის მთელი პერიოდის განმავლობაში ანუ 1993 წლიდან ოკუპანტმა პირველად დააწესა სრული კონტროლი ე.წ. საარჩევნო პროცესზე. თუ ადრე მისთვის პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა აფხაზეთის დე-ფაქტო მმართველის პიროვნებას, ამჯერად ღიად, აშკარად და უხეშ ფორმებში ფსონი ბადრა გუნბაზე დაიდო. ეს არის ერთ-ერთი მანიშნებელი იმისა, რომ რუსეთის მიერ წლების განმავლობაში წარმოებულმა ანექსიონისტურმა პოლიტიკამ ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის მიმართ მოსახლეობის იმედგაცრუება, შესაბამისად, ანტირუსული განწყობების ზრდა გამოიწვია. სწორედ ანტირუსული განწყობების გამოვლინებად აღიქვა მოსკოვმა სოხუმში გამართული საპროტესტო აქციები და ამ შემთხვევაში ჩვენ მას უნდა დავეთანხმოთ. კრემლის, ასევე ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო აფხაზური საზოგადოება დაირაზმა, არც მეტი, არც ნაკლები, გადარჩენისთვის; ჩვენ ვხედავდით რუსული დროშების ქვეშ გამართულ არსებითად ანტირუსულ ხალხმრავალ აქციებს. ყოველივე ამის შემდეგ კრემლი მხოლოდ სპეცსამსახურების მიერ შემოწმებულ, ყურმოჭრილ მონებს ენდობა. ამიტომაც მოსკოვისთვის პრინციპული მნიშვნელობა შეიძინა მომავალი ე. წ. პრეზიდენტის პიროვნებამ.

წინასაარჩევნო პერიოდში ოკუპანტმა აფხაზეთში ხელოვნურად გამოიწვია სოციალური, ეკონომიკური, განსაკუთრებით ენერგეტიკული კრიზისი და თავისივე შექმნილი კრიზისის ვითომ დასაძლევად სასურველი კანდიდატის - გუნბას მხარდამჭერი ღია და ფართო კამპანია წამოიწყო; თავისი ფავორიტის გამარჯვების შემთხვევაში კრემლმა ხელოვნურად შექმნილი კრიზისის მოგვარება, ასევე სოხუმის აეროპორტის ამოქმედება დააანონსა. გარდა ამისა, წინასაარჩევნო პროპაგანდაში ჩართო რუსი პოლიტტექნოლოგები. მიზნის მისაღწევად მიმართეს გათიშე და იბატონეს ცნობილ იმპერიულ მეთოდსაც, კერძოდ, აამოქმედეს ეთნიკური ფაქტორი - უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, აამუშავეს სომხური მოსახლეობის „თურქული საფრთხით“ დაშინების პროპაგანდა, რამაც კარგად იმუშავა. ყოველივე ამის შედეგად, აფხაზური მოსახლეობის ანუ საპროტესტო მასის დიდი უმრავლესობის ნების წინააღმდეგ მოხდა ე. წ. პრეზიდენტის ფაქტობრივად დანიშვნა. მთელი „წინასაარჩევნო“ კამპანიით და მისი შედეგებით მოსკოვმა ურჩ აფხაზებს თვალნათლივ დაანახა რეალურად ვინ განაგებს აფხაზეთს, ვინ აკონტროლებს იქ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს.

უმაღლესმა საბჭომ მიმდინარე წლის 5 მარტს მიღებული დადგენილებით, როგორც უკვე მოგახსენეთ, პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მისცა ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებს და იურიდიული ძალის არმქონედ ცნო მისი შედეგები. უმაღლესი საბჭოს აზრით, აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისის გამომწვევი არც ერთი მიზეზი ე. წ. არჩევნებით არ მოხსნილა, შესაბამისად, არსებული დაპირისპირებები კვლავ დაპირისპირებებად რჩება და დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად იჩენს თავს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებიდან აფხაზეთის მიმართ რუსეთმა შეიმუშავა მათრახისა და თაფლისკვერის პოლიტიკა, როგორც ამ ტერიტორიაზე სრული კონტროლის დაწესების საუკეთესო საშუალება. 2024 წლის საპროტესტო გამოსვლების შედეგად განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, 2025 წელს, როგორც მოსალოდნელი იყო, კრემლი სპეციალურად შერჩეული ემისრის სერგეი კირიენკოს ზედამხედველობით თაფლისკვერის პოლიტიკას ახორციელებს, რაც მოჩვენებით სიმშვიდეს და სტაბილურობას უზრუნველყოფს. თითქმის ორსაუკუნოვანი პრაქტიკა როგორც გვიჩვენებს, შეუძლებელია, რომ ეს პოლიტიკა დიდხანს გაგრძელდეს. მალე მას მათრახის პოლიტიკა ჩაანაცვლებს თავისი „კანონით“ აპარტამენტების შესახებ, თავისი „ხელშეკრულებით“ ინვესტიციების თაობაზე და ანექსიონისტური ხასიათის სხვა მოთხოვნებით. დარწმუნებული ვართ, აფხაზური საზოგადოებაში ღრმად ჩაბუდებული გადარჩენის ინსტიქტი ამჯერადაც ამოქმედდება და აფხაზეთის ანექსიის გეგმა ვერ განხორციელდება. ამ ბრძოლაში მუდამ თანაუგრძნობდით ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს, ასე იქნება მომავალშიც.

კრემლმაც შესანიშნავად იცის, რომ აფხაზური საზოგადოებისთვის ანექსიონისტური გეგმების თავსმოხვევის მორიგი მცდელობაც დიდ წინააღმდეგობას წააწყდება. ამიტომ მან წინასწარ მიმართა პრევენციულ ზომებს. ოპოზიციურად განწყობილი აფხაზი პოლიტიკოსების წინააღმდეგ რუსეთმა უკვე გამოიყენა და აგრძელებს მის ხელთ არსებული ისეთი ბერკეტების გამოყენებას, როგორიცაა უცხო ქვეყნის აგენტებად მათი შერაცხვა, მოქალაქეობის ჩამორთმევა და ამით ცალკეული მიუღებელი პიროვნებების იზოლაციაში მოქცევა, აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების, კერძოდ, მისდამი ლოიალურად განწყობილი სომხების ვითომ დაცვის მიზნით ცალკეული აფხაზი ოპოზიციონერების წინააღმდეგ რუსეთის საგამოძიებო სამსახურში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და ა. შ. ეს ყველაფერი ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს კიდევ ერთხელ მკაფიოდ აჩვენებს ქაღალდზე არსებული მათი დამოუკიდებლობის ხარისხს და იმ საფრთხესაც, რომლის წინაშეც იმყოფებიან.

აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით იქაური მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემას - რუსული ტუროპერატორების და ზოგადად, რუსული კომპანიების მხრიდან ტურისტულ ინდუსტრიაში დემპინგის პრობლემას და უკანონოდ მოქმედი რუსი გიდების საკითხს. ტურიზმის სფეროში ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ყველა პრობლემის თავი და თავი რუსული ეკონომიკური ექსპანსიაა, რაც ანექსიონისტური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. ამასთან დაკავშირებით უმნიშვნელო, თუმცა სამართლიანი

უკმაყოფილების გამოხატვამ ორი მაღალჩინოსნის სავარძელთან ერთად ლამის წლევანდელი ტურისტული სეზონიც შეიწირა. ეს ყოველივე, დიდი ალბათობით, კიდევ უფრო გაზრდის „სტრატეგიულ პარტნიორთან“ ურთიერთობაში გაჩენილ ბზარს.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება რუსეთის მოქალაქეების მიერ სხვადასხვა შემოვლითი გზებით ქართველთა ეზო-კარის შესყიდვა. ამჟამად გულრიფშის რაიონში მიმდინარეობს მუდმივ სარგებლობაში მიწების შეძენა. იქ უკვე დამკვიდრებული რუსეთის მოქალაქეები - ეთნიკური რუსები - ღიად ეპატიჟებიან თავიანთ თანამოძმეებს აღმოსავლეთ აფხაზეთში. ჩვენი ღრმა რწმენით, იმ შემოვლითი გზებით სიარულის გამარტივების მიზნით, 2025 წლის 9 ივლისს აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა ე. წ. სამოქალაქო კოდექსში. განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ფართოვდება იმ პირთა წრე, ვისაც ეკრძალება უძრავი ქონების ანდერძით ან მემკვიდრეობით მიღება. ასეთი პირების რიცხვს მიეკუთვნება ყველა, ვინც იბრძოდა და ახლაც იბრძვის აფხაზეთის არარსებული სუვერენიტეტის წინააღმდეგ; გეგმავდა, ამზადებდა და გააჩაღა ომი აფხაზეთის წინააღმდეგ; 1992-1993 წლებში იყო აფხაზეთში შეყვანილი სამხედრო ფორმირებების წევრი, მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში, საპოლიციო ღონისძიებებში, ეხმარებოდა ქართულ ჯარს, ასევე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას და მის სტრუქტურებს. უძრავი ქონების ანდერძით ან მემკვიდრეობით მიღება ეკრძალებათ ასევე ზემოაღნიშნული პირების ოჯახის წევრებსაც და შთამომავლობასაც. ეს ცვლილებები ე. წ. სამოქალაქო კოდექსში განხორციელდა იმისათვის, რომ ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა უფრო მშვიდად და ყოველგვარი შიშის გარეშე განკარგონ ქართველთა კერძო საკუთრება. გასაგებია, რომ აფხაზური დე-ფაქტო კანონები, ქართული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არალეგიტიმურია, ბათილია, მაგრამ პრობლემას მაინც ქმნიან. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო აქტუალური ხდება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის საკუთრების რეგისტრაციის აუცილებლობა, რომელიც დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. მივმართავთ აფხაზეთის მთავრობას, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მეტი ინტენსიურობით გაგრძელდეს.

აფხაზეთში ბევრი პრობლემაა, ბევრი აქტუალური საკითხია, რომლებსაც, ბუნებრივია, ყოველდღიურ რეჟიმში, დღეში კი რამდენჯერმე ვეცნობით, ვსწავლობთ და ვაანალიზებთ. ცხადია, რომ არესებული პრობლემების სრულმასშტაბიანი მოგვარების წინაპირობა დეოკუპაცია იქნება. სანამ ეს არ მომხდარა, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ვალია საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა, ორ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში მხარდაჭერა. უმაღლესი საბჭოს წევრთა დიდი ნაწილი ჩართულია ამ პროცესში როგორც არსებული სახელმწიფო პროგრამების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე პირადი კონტაქტების მეშვეობით. ვიცნობთ არაერთ ეთნიურ აფხაზს, რომელიც ჩვენსავით მოუთმენლად ელოდება კონფლიქტის დასრულებას და ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრებასაც არ გამორიცხავს. ნათქვამის საილუსტრციოდ გთავაზობთ, ჩვენი აზრით, საინტერესო

აუდიოჩანაწერს ... რაც მოვისმინეთ, ეს არ გახლავთ ერთი რიგითი აფხაზი კაცის მოსაზრება. ვინც კარგად იცნობს აფხაზურ საზოგადოებას, დაგვეთანხმება, რომ ზუსტად ასე ფიქრობს იქ ბევრი ადამიანი. მათი რიცხვის პერმანენტულ ზრდას, როგორც მოვისმინეთ, ხელს უწყობენ და მომავალშიც შეუწყობენ ხელს პროექტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხორციელდება, ენგურს აქეთა საქართველოში არსებული მყარი მშვიდობა, სტაბილურობა, სწრაფი ეკონომიკური განვითარება. როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, სწორედ ეს გახლავთ მშვიდობიანი მეთოდებით საქართველოს გამთლიანებისკენ მიმავალი უმოკლესი გზა.

აქვე აუცილებლად უნდა ვახსენოთ გარკვეული სამართლებრივი ბარიერები, რომლებიც ხელს კი არ უწყობენ, პირიქით, აბრკოლებენ ურთიერთობას, კომუნიკაციას ენგურს გაღმა მცხოვრებ თანამოქალაქეებთან. ამ საკითხზე ადრეც არაერთხელ გვისაუბრია, ამიტომ მოკლედ შეგახსენებთ, რომ ვგულისხმობთ ძალიან მნიშვნელოვან კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008 წ. 23 ოქტომბერი) ისეთი ცვლილების განხორციელების აუცილებლობას, რომელიც მდინარე ენგურის გამყოფ ხაზზე გადმოსულ, ადრე კი მდინარე ფსოუს გავლით რუსეთში ნამყოფ აფხაზ თანამოქალაქეებს გაანთავისუფლებს სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, საუკეთესო შემთხვევაში საკმაოდ მძიმე ჯარიმებისაგან. იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის, მისი თავმჯდომარის ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერა და ვერ მოხერხდა უმაღლესი საბჭოს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის შეთანხმება იმ უწყებებთან, ვისაც ამ კანონის აღსრულება ევალება. გთხოვთ, ბატონო ვახტანგ, გააგრძელოთ ამ საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობა, რადგანაც ის ეხება ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის შემაფერხებელ გარემოებებს, რომლებიც უნდა მოიხსნას. სანამ ეს არ მოხდება, ვიქნებით ბ-ნ ანზორ მარგიანის იმედზე, რომელიც ხშირად მხსნელად ევლინება ენგურზე გადმოსულ აფხაზ თანამოქალაქეებს. ამისთვის ბ-ნი ანზორი განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს.

სამწუხაროდ, მდინარე ენგურის გამყოფ ხაზზე არსებობს ხელოვნურად შექმნილი პრობლემაც, რომელიც გადაადგილების უფლება ისედაც შეზღუდულ და სასტიკი დისკრიმინაციის ქვეშ აგერ უკვე მესამედი საუკუნის განმავლობაში მცხოვრებ ჩვენს ტანჯულ თანამოქალაქეებს, უპირატესად ქართველებს, კიდევ უფრო უმძიმებს მდგომარეობას. უმაღლეს საბჭოში არსებული ღია ინფორმაციის მიხედვით, ამ შემთხვევაში საუბარი არის არა საკანონმდებლო ხარვეზზე, არამედ გამყოფ ხაზთან მომსახურე პერსონალის მხრიდან, რბილად ვიტყვით, კანონის არასათანადოდ აღსრულებაზე. დროა, ამასთან დაკავშირებით გაიმართოს მსჯელობა საქართველოს პარლამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უფლებამოსილი პირების მონაწილეობით.

საკანონმდებლო ორგანოს ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას მოსახლეობასთან, ჩვენს შემთხვევაში აფხაზეთიდან დევნილებთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება და მათ ყოველდღიურ პრობლემებზე ზრუნვაა. უმაღლეს საბჭოში დევნილ მოსახლეობასთან

ურთიერთობას, მასთან შეხვედრებს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოინახა სრულიად ახალი ფორმა, რომელმაც ეს ურთიერთობა, შეხვედრები უფრო რეგულარული, უფრო საქმიანი და სასარგებლო გახადა. ვგულისხმობ დეპუტატების დიდი უმრავლესობისა და აპარატის უკლებლივ ყველა თანამშრომლის კეთილი ნებით 2020 წლის ზაფხულიდან დღემდე აქტიურად მოქმედ ა(ა)იპ-ს სოციალური სოლიდარობისათვის, რომელმაც ჩვენი კავშირები დევნილ მოსახლეობასთან ახალ ხარისხში აიყვანა. როგორც ვიცით, გასული სასესიო პერიოდის განმავლობაში თქვენი კუთვნილი სახსრებით შეძენილი სასაჩუქრე კალათა მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტებით ათასამდე ოჯახს გადაეცა თბილისში, ბორჯომში, ზუგდიდში, წალენჯიხაში. ბოლო შეხვედრა ამ ათიოდე დღის წინ - 28-30 აგვისტოს - დასავლეთ საქართველოში გაიმართა. შევხვდით დევნილებს ზუგდიდში, წალენჯიხაში კი ვესტუმრეთ მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებულ უკლებლივ ყველა კომპაქტურ ჩასახლებას ფოცხოეწერის ჩათვლით. მთლიანობაში 350 ოჯახს თქვენგან საჩუქრები გადავეცით. ძალიან სასიამოვნო და, რაც მთავარია, საქმისთვის სასარგებლო იყო აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის ბ-ნ ბესიკ კუსიდის ყოფნა აღნიშნულ შეხვედრებზე, რამაც შესაძლებელი გახადა დევნილებთან ჯანდაცვის პრობლემებზე, ასევე სხვა საკითხებზე საგნობრივი მსჯელობა, ადამიანებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება არსებული სამთავრობო პროგრამების შესახებ.

თქვენს მიერ გაღებული სახსრებით, გარდა პროდუქტებისა, შევიძინეთ სასკოლო ჩანთები, სხვა სასკოლო ინვენტარი, რომელიც ფოცხოეწერში მცხოვრებ 36 მოსწავლეს თქვენივე სახელით გადავეცით. ამით ბავშვებსაც და მათ მშობლებსაც პატარა სიხარული მივანიჭეთ. მიმდინარე წლის 25 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო შეხვედრა აფხაზეთიდან დევნილ 69 მედალოსან მოსწავლესთან, მათ მშობლებთან და პედაგოგებთან. ეს იყო ძალიან ემოციური შეხვედრა, რომელიც მის მონაწილეებს დიდხანს ემახსოვრებათ. პატივცემულმა დეპუტატებმა, ასევე აფხაზეთის მთავრობის წევრებმა დავით ფაცაციამ და ბექა ღვაჩლიანმა ის 69 წარმატებული მოსწავლე მანტიებით შემოსეს, რომლის შეძენა აფხაზეთის მთავრობის, კერძოდ, განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და ა(ა)იპ სოციალური სოლიდარობის სახსრებით განხორციელდა. ღონისძიების დასკვნით ნაწილს საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი ბ-ნი გიორგი ვოლსკი დაესწრო. ამით ხაზი გაესვა ჩატარებული შეხვედრის მნიშვნელობას არა მარტო მედალოსანი ბავშვებისთვის, მათი მშობლებისა და პედაგოგებისთვის, რომლებიც იქ ბრძანდებოდნენ, არამედ იმ საქმისთვისაც, რომელსაც, გვაქვს, პატივი, ვემსახუროთ. სწორედ შეხვედრის მნიშვნელობიდან და იმ რეზონანსის გათვალისწინებით, რაც მას მოჰყვა, მინდა ვთხოვო აფხაზეთის მთავრობას, მსგავსი შეხვედრის კიდევ უფრო ლამაზად ჩატარებისთვის უმაღლესი საბჭოს 2026 და შემდგომი წლების ბიუჯეტში გავითვალისწინოთ მცირედი თანხა.

რეზონანსი კი მართლაც დიდი იყო. სხვათა შორის, რამდენიმე ტელეარხის მიერ აღნიშნული ღონისძიების საკმაოდ ვრცლად გაშუქების შემდეგ გაირკვა, რომ კიდევ

გვყოლია 13 წარმატებული ბავშვი - მედალოსნები, რომლებიც 25 ივნისის ღონისძიებაზე არ იმყოფებოდნენ, რადგანაც შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც დროულად გაიგზავნა, მათ არ მიუღიათ. ამა წლის 30 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში კოლეგებთან ერთად შევხვდით 11 მედალოსანს ზუგდიდის რაიონის რუხისა და ახალი აბასთუმნის სკოლებიდან. მცირე მასშტაბებში ჩავატარეთ ზუსტად იგივე ცერემონიალი, რაც 25 ივნისს - იყო მისალმებები, მანტიით შემოსვა, რაც ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ, ასევე დაჯილდოებები და ა. შ. 30 აგვისტოს ზუგდიდის მერიაში მიწვეული გვყავდა აგრეთვე მოსწავლეთა საკამაოდ დიდი ჯგუფი ოკუპირებული აფხაზეთიდან, რომლებიც ქართულენოვანი დისტანციური სინქრონული და ასინქრონული სწავლების პროექტის აქტიური და, შესაბამისად, წარმატებული მონაწილეები არიან. თქვენი სახელით, პატივცემულო კოლეგებო, მათაც ჩანთები და სხვა სასკოლო ინვენტარი გადავეცით.

ყველა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებების - დევნილებისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების, მედალოსან დევნილ მოსწავლეებთან და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულენოვანი დისტანციური სწავლების პროექტის განხორციელების, ამ პროექტის გამორჩეულ მონაწილეებთან შეხვედრების მთავარი ოგანიზატორი ამჯერადაც გახლდათ დევნილებთან, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ქ-ნი ნანა კვარაცხელია, რისთვისაც ის განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებს. იმისათვის, რომ შეძენილი პროდუქტები დევნილებთან მივიდეს, ნანასთან ერთად მძიმე ფიზიკურ შრომა ეწევიან აპარატის სხვა თანამშრომლებიც - შორენა მირცხულავა, ლალი გულორდავა, თემურ ურიდია, ხვიჩა ქარდავა, გიგა შელია, ზურაბ ჯგუბურია, ვალტერ სანაია, ბესო დანელია, გელა პაპასქუა და სხვები. თქვენი სახელით, მადლობა მათ ჩვენი დევნილი თანამოქალაქეების მიმათ გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის. რა თქმა უნდა, დიდი მადლობა ყველა იმ კოლეგას და აპარატის თანამშრომელს, ვინც საკუთარი სახსრებით წლების განმავლობაში უზრუნველყოფდა და უზრუნველყოფს მსგავსი შეხვედრების პერიოდულად ჩატარებას. თუ დავაკონკრეტებთ, დავინახავთ, რომ დღემდე არც თუ ისე მცირე თანხაა გაღებული და დახარჯული - თითქმის 400 ათასი ლარი. აღნიშნული ღონისძიებების არა რესპუბლიკური ბიუჯეტის, არამედ საკუთარი სახსრებით ჩატარებას, ჰუმანიტარულის გარდა, აქვს კიდევ მორალური და პოლიტიკური მხარე. მსგავსი ღონისძიებების, თუ აქციების პოლიტიკური მნიშვნელობა ძალიან დიდია, რასაც თვალნათლივ ვხედავთ ჩვენს დევნილ მოსახლეობასთან ყოველ შეხვედრაზე.

უმაღლესი საბჭოს აპარატის დევნილებთან, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის შემადგენლობაში, როგორც ვიცით, უკვე წლების განმავლობაში ფუნქციონირებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ლტოლვილებთან ურთიერთობის განყოფილება, რომლის ფუნქციას ცხელი ხაზის მართვა, მისი მეშვეობით დევნილებთან 24 საათიან რეჟიმში კომუნიკაციაში ყოფნა წარმოადგენს.

განვლილ სასესიო პერიოდში ცხელ ხაზზე 650 შეტყობინება შემოვიდა. შესაძლოა, ეს ძალიან დიდი ციფრი არ იყოს, მაგრამ იმ 650 ზარის უკან სამჯერ და ოთხჯერ მეტი ადამიანი დგას, რომელიც ჩვენგან ითხოვს და ელოდება დახმარებას, თანაც ზოგ შემთხვევაში სასწრაფოდ. შეტყობინებები მრავალფეროვანია - საცხოვრებებელი ფართის მიღებასთან დაკავშირებული საკითხებით დაწყებული, ერთჯერადი ფულადი დახმარებით, სწავლის ქირის გადახდით გაგრძელებული და საკვები პრუდუქტების მიწოდების თხოვნით დასრულებული. განყოფილების, მისი ხელმძღვანელის ბ-ნი გურამ მაღლაკელიძის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არა მხოლოდ აფიქსირებს შემოსულ შეტყობინებებს, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობით ცდილობს მათზე რეაგირებას და უმეტეს შემთხვევაში ახერხებს კიდევაც ადამიანებისთვის აუცილებელი დახმარების აღმოჩენას. ცხელ ხაზზე შემოსულ შეტყობინებებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბ-ნ თამაზ ხუბუას ხელმძღვანელობით მუდმივ რეჟიმში ხდება აფხაზეთის სამთავრობო დაწესებულებებთან კოორდინაცია. ლეგიტიმური მოთხოვნის მქონე ადამიანისთვის, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციურ იურიდიულ კონსულტაციას, სწორ გზაზე დაყენებას, რის შემდეგაც ის მიზანს შედარებით იოლად და უფრო სწრაფად აღწევს. ამ მხრივ უდიდეს საქმეს აკეთებდა წინა წლებში და აკეთებს დღესაც იურიდიული და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი ნინო ხუნჯუა.

დევნილ მოსახლეობაზე ზრუნვა იყო და დარჩება უმაღლესი საბჭოს, მთლიანად აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უპირველეს ფუნქციად და მოვალეობად, რა თქმა უნდა, ჩვენი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში. ყველაზე კარგად თვითონ დევნილმა ადამიანმა იცის სად, როდის და კონკრეტულად რა დახმარება, რა თანადგომა და ხელშეწყობა სჭირდება მას. მოგეხსენებათ, მსგავსი საკითხების გამორკვევა, შესწავლა მარტო ცხელი ხაზის მეშვეობით ვერ მოხდება. ამის გაკეთება ყველაზე კარგად სოციოლოგიური კვლევების გზით არის შესაძლებელი. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ არც უმაღლეს საბჭოს, არც მთავრობას მსგავსი კვლევები ადრე არ ჩაგვიტარებია. მოწვეული სპეციალისტის, პროფესორის ქ-ნ ქეთევან ჩიგოგიძის მიერ შემუშავებული მეთოდიკით, უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტის, ასევე აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს დაქვემდებარებული მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს დეპარტამენტის თანამშრომელთა აქტიური ჩართულობით მიმდინარე წლის 11-21 ივლისს თბილისში განთავსებულ რამდენიმე დასახლებაში ასეთი სოციოლოგიური გამოკითხვა ჩვენს პრაქტიკაში პირველად ჩატარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში ჩართული სხვადასხვა სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაციას ბ-ნი თამაზ ხუბუა ახდენდა. ამჯერად გამოიკითხა მხოლოდ ორასამდე დევნილი. რესპოდენტთა ასეთი შედარებითი სიმცირის მიუხედავად, მიღებულია ძალიან საინტერესო შედეგები. ასე მაგალითად, განათლების დონე დევნილებში საკმაოდ მაღალია. აფხაზეთში დაბრუნებას, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, გამოკითხულთა ფაქტობრივად 100 % აპირებს. სპეციალურად დასმულ, შეიძლება ითქვას, პროვოკაციულ კითხვაზე - რა უფრო გირჩევნიათ, შემწეობის თანხის ორჯერ გაზრდა, თუ დასაქმება, შრომისუნარიან ადამიანთა

აბსოლუტურმა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ურჩევნია დასაქმება, რისთვისაც უმეტესობა ახალი პროფესიის შეძენისთვისაც მზად არის. ბევრ სხვა კითხვაზეც საინტერესო პასუხები გაიცა.

ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ ისიც გვიჩვენა, რომ დასაბუთებული, დამაჯერებელი რეკომენდაციების შემუშავებისთვის აუცილებელია უფრო მასშტაბური სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება თბილისსა და რეგიონებში არანაკლებ 2000 რესპოდენტის მონაწილეობით. მაშინ მივიღებთ უფრო ზუსტ სურათს. ასეთი გამოკითხვის ჩატარება კი მიმდინარე წლის ოქტომბერში იგეგმება, მაგრამ უკვე ჩატარებული გამოკითხვაც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. აქედან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ დევნილთა დასაქმებისთვის და კიდევ ერთხელ დასაქმებისთვის ზრუნვის აუცილებლობა. შრომისუნარიან დევნილთა უდიდესმა უმრავლესობამ, როგორც დავინახეთ, მშვენივრად იცის, რომ მხოლოდ დასაქმება წარმოადგენს სიღარიბისაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებას. სხვათა შორის, რაც მეტი დევნილი ოჯახი დააღწევს თავს სიღარიბეს, რაც სრულიად უცხო და სამარცხვინოც კი იყო როცა აფხაზეთში ვცხოვრობდით, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება ქვეყანას გაუზარდოს შემწეობის თანხები შრომისუუნარო დევნილებს. რასაც დევნილთა დასაქმების, მცირე ბიზნესის განვითარების კუთხით აფხაზეთის მთავრობა დღემდე აკეთებდა და აკეთებს არის ძალიან კარგი, შესანიშნავი, მაგრამ არასაკმარისი. ვფიქრობთ, დადგა დრო უმაღლესმა საბჭომ და მთავრობამ სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ამ პრობლემის მოგვარებას. როდესაც ვიცით, რომ ქვეყანაში არსებობს კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი და საჭიროა მათი მომზადება თუ გადამზადება, დევნილთა დასაქმების პრობლემის მოგვარება ხომ არ დავიწყოთ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებით, რისი უფლებაც აფხაზეთის მთავრობას აქვს, ან არსებულ პროფესიულ სახელმწიფო კოლეჯებთან და სხვა სასწავლებლებთან ამ საკითხზე საქმიანი თანამშრონლობით? ყოველ შემთხვევაში, დევნილთა დასაქმების პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია და მის მოგვარებაში ჩვენი ჩართულობა აუცილებელია. ვთხოვ ბ-ნ რუდიკ ცატავას თავმჯდომარის კაბინეტთან ერთად, ასევე, რა თქმა უნდა, შესაბამისი სამინისტროების ჩართულობით იმუშაოთ ამ საკითხზე და მოამზადოთ წინასწარი რეკომენდაციები.

აფხაზეთის პრობლემატიკის ირგვლივ, როგორც ცნობილია, განუწყვეტლივ მიმდინარეობს მწვავე პოლიტიკური, იდეოლოგიური ბრძოლა, დაპირისპირება თუ დისკუსიები მეცნიერთა, ასევე ცრუმეცნიერთა აქტიური ჩართულობით. ყველა დროში - სოხუმშიც და დევნილობაშიც უმაღლესი საბჭო იდგა ამ ბრძოლის ავანგარდში. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაპირისპირება სულ უფრო და უფრო იხვეწება, იძენს ახალ ფორმებს, მოიცავს მრავალ თემატიკას და პრობლემას. პირველ რიგში, დაინტერესებული ვართ უმაღლესი საბჭოს საქმიანობის წარმოჩენით. უმთავრესად ეს ხდება ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელიც განახლების შემდეგ უფრო სრულყოფილი გახდა და რომელსაც საკმაოდ კარგად მართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტი. განვლილ სასესიო პერიოდში ჩვენს ვებგვერდზე განთავსდა უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ამსახველი ორასამდე ინფორმაცია, რომელიც 640 ათასზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა.

უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდი არ არის და არც უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლის მთავარ იარაღად. ასეთი ბრძოლის ყველაზე ქმედით საშუალებად, როგორც წესი, სოციალური ქსელები და სხვადასხვა ვიდეოპლატფორმები გამოიყენება. ძირითადად ეს არის ფეისბუქი, ინსტაგრამი, იუთუბი, ტიკ-ტოკი, რომლებიც უმაღლესი საბჭოს შესაბამის თანამშრომლებს შესანიშნავად აქვთ ათვსებული. პოლიტიკურ - იდეოლოგიური მიმართულებით მომუშავე სოციალურ ქსელებს და ვიდეოპლატფორმებს განვლილი სასესიო პერიოდის განმავლობაში არც მეტი, არც ნაკლები 93 მილიონამდე ნახვა აქვთ. ალბათ, დამეთანხმებით, კარგი შედეგია იმის გათვალისწინებითაც, რომ ხდება მაღალი ხარისხის ინფორმაციის გავრცელება, რომელსაც ოპონენტი ხშირად ვერაფერს უპირისპირებს, გარდა გინებისა და მუქარებისა.

სამწუხაროა, რომ დაპირისპირება აკადემიურ სფეროშიც, განსაკუთრებით ისტორიოგრაფიაში, კვლავაც ძალიან მწვავეა და დასრულებისკენ ნამდვილად არ მიდის. ამ თვალსაზრისით მოწოდების სიმაღლეზე დგას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი პროფესურა, რომლებთანაც აქტიურად ვთანამშრომლობთ. მოგეხსენებათ, უმაღლეს საბჭოშიც არაერთი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩატარებულა, არაერთი საინტერესო გამოცემა მომზადებულა სხვადასხვა თემაზე და სხვადასხვა ენაზე. ამჟამად უმაღლესი საბჭო მონაწილეობს პროექტში, რომლის ინიციატორი გახლავთ საქართველოს საპატრიარქო, შემსრულებელი - კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. საუბარი არის აფხაზეთის საეკლესიო ისტორიის ამსახველი დოკუმენტური წყაროების გამოცემა. ეს არის მნიშვნელობითაც და მოცულობითაც დიდი პროექტი, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. აღნიშნული მიმართულებით უმაღლეს საბჭოში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, დაგეგმილ გამოცემათა დიდი ნაწილი ჩვენს კედლებში მომზადდება. მუშაობა დაიწყო შარშან და გაგრძელდება 2027-2028 წლებამდე. ერთი გამოცემა შესრულებულია. ბევრი ჩვენთაგანი მონაწილეობდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართული კონფერენციის მუშაობაში, სადაც ჩატარდა აფხაზეთში წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია. განვლილ სასესიო პერიოდში მომზადდა და ამა წლის ნოემბერში გამოვა კიდევ ერთი საკმაოდ სქელტანიანი წიგნი ყველა დროის ერთერთი გამოჩენილი ქართველი მღვდელმთავრის წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის ღვაწლის შესახებ აფხაზეთში. ამ ორი დიდი წმინდანის სახელს უკავშირდება აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელება, რამაც თავიდან ააცილა მათ უბიხების ტრაგიკული ხვედრი. ჩვენთვის დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაცაა ამ პროექტში მონაწილეობა. უნდა გითხრათ, რომ მოგვიწევს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა. ცალკეულ პროექტებზე მუშაობის პარალელურად უმაღლეს საბჭოში არსებულ ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა აფხაზეთის შესახებ ისტორიული წყაროების მონაცემთა ბაზა, რომელიც თანდათანობით ივსება და ფართოვდება. აქვე მსურს შეგახსენოთ, რომ 2026 წელს საქართველო იზეიმებს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების (326 წელი) 1700-ე წლისთავს. ეს იყო და არის უდიდესი მოვლენა, რომელიც ქართული ცნობიერების, ქართული სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ფასეულობების

ფორმირებასთან, მათ დაცვასთან და განმტკიცებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. საზეიმო ღონისძიებები უკვე დაწყებულია. მოგეხსენებათ, რაოდენ მნიშვნელოვანია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700-ე წლისთავის აღნიშვნაში აფხაზეთის წარმომდგენელთა ანუ ჩვენი მონაწილეობა.

დასასრულს, გილოცავთ რა 2025 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდის გახსნას, იმედს გამოვთქვამ, რომ აღნიშნულ პერიოდში ერთი ნაბიჯით მივუახლოვდებით საქართველოს გამთლიანების საერთოეროვნულ მიზანს. საქართველოს გამთლიანება კი გარდუვალია.

2025 წლის 9 სექტემბერი.